

# MIGRATION NEWSLETTER SPECIAL EDITION No. 9

## ENIGMMA Information Campaign 2016

**A quarterly newsletter published by the ENIGMMA project**

## Dear Reader!

The ICMPD ENIGMMA project team is pleased to introduce a special edition of its Migration Newsletter, dedicated exclusively to our annual information campaign. In this issue we will provide our readers with updated information on the ENIGMMA Information Campaign, which took place in 2016 in various regions of Georgia.

In addition, you can also read statements from the Mayor of Batumi, Mr Giorgi Ermakovi, and the Minister of Education, Culture and Sport of Adjara, Mr Giorgi Tavamaishvili, who talk about the importance, both in the Adjara region and in Georgia generally, of public awareness in the field of migration and European integration.

Please send your feedback and comments, including suggestions for improvements, to the e-mail addresses listed at the end of this newsletter.

The ENIGMMA project team thanks you for your interest. We hope you enjoy this issue.

**Your ICMPD ENIGMMA project team**

## In this Issue

**ENIGMMA Information Campaign 2016**

- The ENIGMMA Information Campaign in a Nutshell
- “Introduce Georgia to the EU” Photo Contest
- Training on Migration Issues for Local Government in Adjara
- Training for the Georgian Bar Association in Batumi
- Public Event
- Interviews with the Mayor of Batumi, **Mr Giorgi Ermakovi,** and the Minister of Education, Culture and Sport of Adjara, **Mr Giorgi Tavamaishvili**

## The ENIGMMA Information Campaign in a Nutshell

The 2016 ENIGMMA Information Campaign took place in April-May and focused on Georgia-EU relations, aiming to raise public awareness on legal migration in line with the Visa Liberalisation Action Plan (VLAP). The key message of the campaign was “Legal Migration is the Best Choice.” Various activities took place all over Georgia as part of the campaign:

- The **“Introduce Georgia to the EU”** photo contest aimed to raise awareness and promote information regarding the future visa-free regime between Georgia and the EU, and regarding Georgia-EU relations in general. The best photos, portraying Georgian people, unique cultural items, traditions, customs, cuisine, landmarks, values, etc., received awards, and the photos were exhibited during the final event in Batumi.

- Training on migration was provided for staff of the local government of Batumi municipality and the Adjara region. The topics of the training included Georgian migration legislation, specifics of the Georgia-EU visa-free regime, recent changes introduced as a result of VLAP implementation, Georgia-EU relations, and the general migration situation and migration trends in Georgia.

- Training on migration was provided for representatives of the Georgian Bar Association. The purpose of the event was to raise awareness regarding EU-Georgia relations and their implications, and to support the capacities of Georgian lawyers working in the field of migration.

- A final, informational event for the general public took place at Batumi’s Piazza Square on May 20. This open-air event was held for the general public, students and young adults, with musical performances, a photo exhibition, an award ceremony, and presentations and games on the topics of migration, mobility and EU-Georgia relations. Other activities included various sport competitions, a puppet theatre performance on the topic of the EU, etc.

You can read more about each activity below.

## “Introduce Georgia to the EU” Photo Contest

Within the Information Campaign 2016 a photo contest was announced wherein all residents of Georgia, as well as Georgian diaspora members and migrants abroad, were invited to submit their photos on the topic ***“Introduce Georgia to the EU.”*** The photo contest aimed to raise awareness and provide information regarding the future visa-free regime between Georgia and the EU, and regarding Georgia-EU relations in general. Following the implementation of the VLAP, and after the necessary amendments have been made to EU legislative acts, citizens of Georgia possessing a biometric passport will be able to travel to Schengen Area countries for short stays. This will allow many Georgian citizens to get to know the EU and its citizens. But what does the EU know about Georgia? What makes Georgia and its people different from other countries?

**Funded by the European Union**

ENIGMMA Putting the pieces together to respond effectively to migration challenges

ICMPD International Centre for Migration Policy Development

**The views expressed in this publication do not necessarily reflect the views of the European Union**

# Information Campaign photo contest 2016















Funded by the European Union

ENIGMMA

ICMPD International Centre for Migration Policy Development

The participants of the photo contest were invited to share their vision of Georgia, to present the most remarkable features of the country, and to introduce Georgia to the EU.

All kinds of creative photos were accepted for the competition, portraying Georgian people, unique cultural features, traditions, customs, cuisine, landmarks, values, etc.

The photos were screened and evaluated by a panel of judges that included representatives of the Delegation of the European Union to Georgia, the EU-NATO Parliamentary Committee, the Secretariat of the State Commission on Migration Issues (SCMI), the Ministry of Foreign Affairs and the ENIGMMA project team. In addition, open, online voting took place on the ENIGMMA website. The judges evaluated the photos according to their relevance, creativity, diversity, uniqueness and technique. Twelve finalist photos were selected from among them. The authors of the three best photos received an EU-made tablet and other prizes. The winner of the online vote was also recognized. All twelve photos were exhibited at the final event in Batumi. Additionally, the twelve best photos will be published in an ENIGMMA calendar for 2017.

The author of the prize-winning photo, Roman Tolordava, described his photo in an interview with the ENIGMMA project:



***"My photo shows the Lamaria Monastery complex, situated in Ushguli, Zemo Svaneti (the highest continuously inhabited settlement in Europe), depicted under the rays of the setting sun. The construction of the complex is connected with Georgia's golden age when, for the first time in the country's history, a woman, Tamar the Great, ruled the country, and when the goal of establishing a constitutional monarchy first emerged. Symbolically, by emphasizing history in the form of the restored and functioning monastery, the photo depicts Georgia's aspiration to return to the European family and become one of its full-pledged members."***

This was the second time Giorgi Dundua also another author of the prize-winning photo had participated in the photo contest. His photo took second place.

***"I found out about the ENIGMMA project in 2014 when I first became interested in the European Union, its goals***



***and objectives. The project contributed significantly to my interest. The photo I exhibited this year was shot in winter 2015 in the city of Poti. It illustrates the importance of this transportation hub for the process of development and progress, typical for a country such as Georgia. The photo depicts cultural heritage effectively blended with modernity. It is this synergy which leads many to appreciate and admire Georgia. The photo shows a ship, reminding the viewer of the city of Poti and of historic Phasis and the myth of the Argonauts and Medea. This is historic modernization, as the ship currently functions in a touristic-recreational capacity; it demonstrates the city's face and sends a good message to Europe. Georgia, with its history, modernity and specific importance, should keep pace with advanced countries and establish good relations with them in its development process in order to facilitate peace building through the mobilization of force."***

Giorgi is looking forward to the next information campaign in order to try his luck once more and obtain more information about the European Union.

***"I wanted to contribute to bringing Georgia closer to the European Union and describe the achievements for which Georgia deserves to be a member of this organization. I would like to mention that it was good to participate in such a competitive process, as demonstrated by the high number of photos submitted. Such healthy competition should serve as the basis for bringing Georgia and European Union closer to one another. Both parties should***



***be ready and eager to make use of their strengths. I would like to express my gratitude to the ENIGMMA project team for such an interesting and well-designed photo contest."***



Most of the online votes went to a photo taken by Khatuna Buskivadze. Khatuna actively follows the ENIGMMA project Facebook page and heard about the photo contest through social media. She also participated in the summer school on migration issues organized by the project in 2015. She perceives the European Union to be ***"a source of innovation and benefits. EU integration will be a huge success and step forward for Georgia".*** Khatuna plans to participate in initiatives organized by the project in the future.

Readers can view all the photos submitted for the photo contest, including prize winners, at our website www.enigmma.ge

## Training on Migration Issues for Local Government in Adjara

On May 5, 2016, at the Batumi Public Service Hall, training on migration issues was held by ICMPD within the framework of the EU-funded ENIGMMA project and in close cooperation with the SCMI. The training was geared towards representatives of local self-government from Batumi municipality and the Adjara region, civil society organisations and academia. The training covered issues related to the EU-Georgia Association Agreement, the visa-free regime and citizens' mobility, the Visa Liberalisation Action Plan (VLAP) implementation process, migration-related legislation, and the general migration situation and migration trends in Georgia.

The aim of the training was to provide first-hand information on migration issues to the audience, which included local authorities as well as civil society organisations, local public institutions and members of academia. In line with Georgia's EU aspirations and the prospect of visa-free travel within the EU, it is important that Georgian society, government, local institutions and citizens have a deep understanding of migration regulations and ways of legal travel to the EU. Speakers from various state institutions gave presentations on migration-related issues within their fields of expertise and facilitated discussion with the audience.

The training was organised in close cooperation with the SCMI, the Public Service Development Agency, the Ministry of Internally Displaced Persons from Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia, the Ministry of Internal Affairs, the Office of the State Minister on European and Euro-Atlantic Integration, the Ministry of Foreign Affairs and the Batumi Public Service Hall.

The training on migration issues was organised within the framework of the 2016 ENIGMMA Information Campaign.

## Training for the Georgian Bar Association in Batumi

On May 18, as part of the information campaign, training was held by the ICMPD ENIGMMA project in close cooperation with the Secretariat of the SCMI and the Georgian Bar Association. The training was for Georgian lawyers and was designed to raise awareness on EU-Georgia relations and their implications and to support the capacities of Georgian lawyers working in the field of migration.



## Public Event

On May 20, an informal, public awareness event took place as the closing event of the information campaign. This open-air event was geared towards the general public, students and young adults, with musical performances, an exhibition of the award-winning photos from the 2016 ENIGMMA photo contest, an award ceremony, and presentations and competitions on the topics of migration, mobility and EU-Georgia relations. Other activities included various sport competitions, a puppet theatre performance about the EU, etc.






Funded by the European Union























The views expressed in this publication do not necessarily reflect the views of the European Union

The event was opened by local government representatives. Within the framework of this final event, group discussions and creative workshops were organised on topics relating to the EU and migration. Representatives of Georgian parliamentary committees, ministries, and NGOs and/or international experts were invited to facilitate discussions and workshop activities.

Informational materials and flyers on the EU-Georgia visa-free regime, the Schengen calculation app, 10 myths about the Association Agreement and other useful resources were distributed during the event.

## Interviews with Mr Giorgi Ermakovi and Mr Giorgi Tavamaishvili



**The Mayor of Batumi, Mr. Giorgi Ermakov,** spoke about the necessity and the benefit of the 2016 ENIGMMA Information Campaign and other similar awareness activities: ***"Our country, our populace has clearly expressed the will and aspiration to integrate with Europe. We will definitely become a member of the European family, and everybody needs to recognize the numerous benefits this path will bring. At the same time, a certain part of the population might not correctly understand the requirements that our country will have to meet in the future in order to become a full-fledged member of the European Union. Therefore, as we conduct such activities it necessary to provide the public with adequate information and, when necessary, explain a specific process or relevant condition. It is of utmost importance that these initiatives are informative, sensitive and youth-oriented. Most people talk about Visa Liberalization, however, this is not the only benefit of European integration. There are a number of areas that will also be positively influenced by integration with the European Union, be it education, economy, ecology or others".***



**Mr. Giorgi Tavamaishvili, Minister of Education, Culture and Sport of the Autonomous Republic of Adjara,** also welcomes the information campaign on migration organized in the Adjara region, especially now that migration has recently become such a hot topic. Providing information to the public regarding migration and issues of European integration is extremely important for Georgia, which aims to establish a visa-free regime with the European Union and become one of its members in the future. ***"The format of the event is extremely interesting, since it provides necessary information to the youth in simple and youth-friendly language, as they will be the ones forming public opinion in future. This means that the organizers thought in advance about the necessity of covering the topic on the regional level."***

## Contact

**Ms Violeta Wagner,** ICMPD Project Manager, violeta.wagner@icmpd.org

**Mr Zurab Korganashvili**, ICMPD National Project Manager, zurab.korganashvili@icmpd.org

www.enigmma.ge
www.icmpd.org

6 Marjanishvili str., 1st floor, 0102, Tbilisi, Georgia.

Please send your feedback and comments to Natia Mechitishvili at natia.mechitishvili@icmpd.org or enigmma@icmpd.org.




Funded by the European Union



მიგრაციის თემებზე. ამ აქტივობებისათვის მოწვეულნი იყვნენ საქართველოს საპარლამენტო კომიტეტების, სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და/ან საერთაშორისო ექსპერტები. საინფორმაციო მასალები და ფლაერები ევროკავშირსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლაზე, შენგენის კალკულატორის აპლიკაცია, ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული 10 მითი და სხვა გამოსადეგი საინფორმაციო მასალები მონაწილეებს ღონისძიების განმავლობაში დაურიგდათ.

## ინტერვიუები ბათუმის მერთან, გიორგი ერმაკოვთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრთან, გიორგი თავამაიშვილთან



ბათუმის მერმა ***გიორგი ერმაკოვმა*** ისაუბრა პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებისა და მსგავსი საინფორმაციო კამპანიების აუცილებლობასა და სარგებელზე: ***„ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა მოსახლეობამ ნათლად გამოხატა თავისი სურვილი და სწრაფვა ევროპული ინტეგრაციის მიმართ. საქართველო აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის წევრი და ყველამ უნდა გაიაზროს, რომ ეს უამრავ სიკეთეს უკავშირდება. ამავდროულად, შესაძლოა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არასწორად ესმოდეს მოთხოვნები, რომლებიც ამ ყველაფრის გამო ჩვენი ქვეყნის წინაშე დადგება. შესაბამისად, ხშირად უნდა ჩატარდეს მსგავსი ღონისძიებები, რათა მოსახლეობა ფლობდეს სწორ ინფორმაციას და, საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიუწვდებოდეს ამა თუ იმ პროცესისა და ტერმინის სათანადო ახსნა-განმარტებაზე. განსაკუთრებით მისასალმებელია, თუკი ეს აქტივობები შეძლებისდაგვარად ინფორმაციული, შემეცნებითი და ახალგაზრდებზე გათვლილი იქნება. ბევრი საუბრობს ვიზალიბერალიზაციაზე, თუმცა ეს არ არის ერთადერთი სიკეთე, რაც ევროინტეგრაციას ახლავს. მას პოზიტიური გავლენა ექნება რიგ სფეროებზე - იქნება ეს განათლება, ეკონომიკა, ეკოლოგია თუ სხვა.***

აჭარის რეგიონში მიგრაციის შესახებ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიას ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრი ***გიორგი თავამაიშვილიც*** მიესალმა:



***„ახლა, როცა მიგრაცია და ევროინტეგრაცია საკმაოდ აქტუალური თემებია, ამ საკითხებზე მოსახლეობის სათანადო ინფორმირებულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საქართველოსთვის - ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემოღებისა და ამ ალიანსში გაწევრიანების პრეტენზია. გამორჩეულად მისასალმებელია ღონისძიების ფორმატი, რაც გულისხმობს საჭირო ინფორმაციის მარტივ, გასაგებ ენაზე გადაცემას ახალგაზრდებისთვის - მათთვის, ვინც ხვალ შექმნის საზოგადოებრივ აზრს. მოხარული ვარ, რომ ღონისძიება ბათუმში ტარდება. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზატორებს წინასწარ ჰქონდათ გააზრებული ამ თემის რეგიონულ დონეზე გაშუქების საჭიროება.“***

## საკონტაქტო ინფორმაცია

ქ-ნი ვიოლეტა ვაგნერი, ICMPD-ის პროექტის მენეჯერი,
violeta.wagner@icmpd.org

ბ-ნი ზურაბ ყორღანაშვილი, ICMPD-ის პროექტის მენეჯერი,
zurab.korganashvili@icmpd.org

www.enigmma.ge
www.icmpd.org

მარჯანიშვილის ქ. # 6, პირველი სართული, 0102, თბილისი, საქართველო.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები გაუგზავნოთ ქ-ნ ნათია მეჩითიშვილს, ელექტრონულ მისამართზე natia.mechitishvili@icmpd.org ან enigmma@icmpd.org.
















ENIGMMA


ENIGMMA



*„მსურს, მომავალშიც შევიტანო წვლილი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაში და სათანადოდ ავსახო ის დადებითი ასპექტები, რომელთა გამოც, ვფიქრობ, ქვეყანა იმსახურებს ამ ორგანიზაციის წევრობას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის მისასალმებელი იყო დიდი კონკურენცია, რაც ფოტოების სიმრავლით გამოიხატებოდა. ასეთივე ჯანსაღი კონკურენცია და წინაპირობები უნდა დაედოს საფუძვლად საქართველო-ევროკავშირის დაახლოებას და ორივე მათგანი ერთნაირი მზაობითა და მონდომებით ცდილობდეს საკუთარი ძლიერი მხარეების წამოწევას. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო პროექტ ENIGMMA-ს გუნდს საინტერესოდ და კარგად ორგანიზებული ფოტოკონკურსისათვის.“*



ონლაინ შერჩევაში ხმათა უმრავლესობა ***ხათუნა ბუსკივაძის*** ფოტოს ერგო. ხათუნა აქტიურად ადევნებს თვალყურს ENIGMMA-ს Facebook გვერდს და ფოტოკონკურსის შესახებაც სწორედ სოციალური ქსელით შეიტყო. იგი მონაწილეობდა 2015 წელს პროექტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში, რომელიც მიგრაციის საკითხებს ეძღვნებოდა. მისთვის ევროკავშირი ***„სიახლეებისა და სარგებლის საწინდარია. ევროკავშირში შესვლა საქართველოსთვის ძალზე დიდი წარმატება და წინსვლა იქნება“.***

ხათუნა მომავალშიც აპირებს აქტიურად ჩართვას ENIGMMA-ს ღონისძიებებში.

კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევრის, მათ შორის გამარჯვებული ფოტოების ნახვა მკითხველს შეუძლია ჩვენს ვებგვერდზე www.enigmma.ge

## ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე აჭარის მთავრობისათვის

2016 წლის 5 მაისს ბათუმის იუსტიციის სახლში ICMPD-მ მიგრაციის საკითხებზე ტრენინგი ჩაატარა - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში და SCMI-სთან მჭიდრო თანამშრომლობით. ტრენინგზე მოწვეული იყვნენ ბათუმის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობების, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება, უვიზო მიმოსვლა, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) განხორციელება, მიგრაციის კანონმდებლობა და, ზოგადად, მიგრაციის სფეროში არსებული ვითარება და მიმართულებები ქვეყანაში.

ტრენინგის მიზანი იყო აუდიტორიის ინფორმირება მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები, სამოქალაქო თუ საჯარო დაწესებულებები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ევროკავშირისაკენ სწრაფვისა და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივის შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საზოგადოება, მთავრობა, ადგილობრივი ორგანიზაციები და მოქალაქეები კარგად აცნობიერებდნენ მიგრაციის რეგულაციებსა და ევროკავშირში ლეგალური მგზავრობის მექანიზმებს. სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პრეზენტაციები წაიკითხეს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და დისკუსია გამართეს აუდიტორიასთან.

ტრენინგი ჩატარდა ENIGMMA-ს მჭიდრო თანამშრომლობით ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: SCMI; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები და ბათუმის იუსტიციის სახლი.

## ტრენინგი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისათვის ბათუმში

18 მაისს, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ICMPD/ENIGMMA-ს პროექტის მჭიდრო თანამშრომლობით SCMI-სა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, გაიმართა ტრენინგი ქართველი იურისტებისათვის. მისი მიზანი გახლდათ მიგრაციის სფეროში მომუშავე ქართველ იურისტთა შესაძლებლობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.



## დასკვნითი ღონისძიება

20 მაისს, ბათუმში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა საინფორმაციო კამპანიის დასკვნითი ღონისძიება ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის სტუდენტებისა და ახალგაზრდებისათვის. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა მუსიკალური წარმოდგენები, ფოტოკონკურსის გამარჯვებულ ნამუშევართა გამოფენა, დაჯილდოების ცერემონია, პრეზენტაციები და თამაშები მიგრაციის, მობილურობისა და ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების თემებზე. ასევე ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები, თოჯინების თეატრის სპექტაკლი ევროკავშირის შესახებ და სხვა.

ღონისძიება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმა გახსნეს. ღონისძიების ფარგლებში ორგანიზებული იყო ჯგუფური დისკუსიები და შემეცნებითი თამაშები ევროკავშირისა და

შორის უვიზო მიმოსვლასა და, ზოგადად, მათ ურთიერთობებზე. VLAP-ის განხორციელებისა და ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებში საჭირო ცვლილებების შეტანის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ბიომეტრიულ პასპორტებს ფლობენ, შენგენის ზონის ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტით შესვლას შეძლებენ. ეს ჩვენს ბევრ მოქალაქეს ევროკავშირისა და მისი მოქალაქეების გაცნობის საშუალებას მისცემს. მაგრამ რა იცის თვითონ ევროკავშირმა საქართველოზე? რა განასხვავებს ამ ქვეყანას და მის ხალხს? ფოტოკონკურსის მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ საკუთარი ხედვა, საქართველოს განსაკუთრებული მხარეები და ქვეყანა თავისი ღირებულებებით ევროკავშირისთვის გაეცნოთ.

კონკურსზე ქართველ ხალხის, მისი უნიკალური კულტურული თვისებების, ტრადიციების, ადათ-წესების, სამზარეულოს თუ სხვა ღირსშესანიშნაობების ამსახველი არაერთი კრეატიული ფოტო წარადგინეს მონაწილეებმა.

ნამუშევრები შეაფასა ჟიურიმ, რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ევროკავშირი-ნატოს საპარლამენტო კომიტეტის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა (SCMI) და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, პროექტ ENIGMMA-ს გუნდთან ერთად. ამასთან, ENIGMMA-ს ვებგვერდზე ღია ელექტრონული ხმის მიცემაც იყო შესაძლებელი. ჟიურიმ საუკეთესო ფოტოები შეარჩია მათი შინაარსის, თემატიკასთან სიახლოვის, კრეატიულობის, მრავალფეროვნების, უნიკალურობისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით. შემოსულ ფოტოებს შორის თორმეტი ფინალისტი გამოვლინდა. სამი საუკეთესო ნამუშევრის ავტორებმა ევროკავშირში დამზადებული პლანშეტები და სხვა პრიზები მიიღეს. ასევე დაჯილდოვდა ელექტრონული ხმის მიცემით გამოვლენილი გამარჯვებული. თორმეტივე ფოტო დასკვნით ღონისძიებაზე ბათუმში გამოიფინა და ENIGMMA-ს 2017 წლის კალენდარშიც დაიბეჭდება.

პირველი ადგილის მფლობელი ფოტოს ავტორი ***რომან თოლორდავა*** პროექტ ENIGMMA-სთან საუბრისას ასე ახასიათებს საკუთარ ნამუშევარს:



*„ჩემს ფოტოზე გამოსახულია ლამარიას სამონასტრო კომპლექსი ზემო სვანეთში, უშგულში (ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტი ევროპაში), რომელიც ჩამავალი მზის სხივითაა დამშვენებული. ტაძრის მშენებლობა საქართველოს ოქროს ხანას უკავშირდება - პერიოდს, როდესაც ქვეყანას ქალი ხელმწიფე მართავდა და პირველად გაჩნდა კონსტიტუციური მონარქიის შემოღების მოთხოვნა. სიმბოლურად ფოტო ისტორიულ რეალიებს ეხმიანება. აღდგენილი და მოქმედი მონასტერი გამოხატავს საქართველოს სწრაფვას, დაუბრუნდეს საერთო ევროპულ ოჯახს და გახდეს მისი სრულუფლებიანი წევრი.“*

***გიორგი დუნდუამ*** მეორედ მიიღო მონაწილეობა ფოტოკონკურსში. წელს მისმა ნამუშევარმა მეორე ადგილი მოიპოვა.



*„ENIGMMA-ს პროექტი 2014 წელს აღმოვაჩინე, როცა ევროკავშირით, მისი მიზნებითა და ამოცანებით პირველად დავინტერესდი სიღრმისეულად. ამაში პროექტმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა. ჩემი წლევანდელი საკონკურსო ფოტო, რომელიც 2015 წლის ზამთარში ქალაქ ფოთში გადავიღე, აღწერს საპორტო ქალაქის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში, რაც საქართველოს მსგავსი სახელმწიფოსთვის ჩვეული ამბავია. ფოტოზე კარგად ჩანს კულტურული მემკვიდრეობა, შეზავებული თანამედროვეობასთანაც. ეს შერწყმა საქართველოს მეტი მნახველის მოზიდვის საშუალებას აძლევს. ფოტოზე ასახულია გემი, რომელიც, პირველ რიგში, ქალაქ ფოთის - ისტორიული ფაზისის - წარსულს გვახსენებს, თვალწინ ცოცხლდება მითი არგონავტებსა და მედეაზე. ეს ისტორიული გათანამედროვებაა, რადგან გემი ახლა ტურისტულ-რეკრეაციულ ფუნქციას ასრულებს - ის კარგად წარმოაჩენს ქალაქის იერსახეს და საგულისხმო გზავნილია ევროპისათვის. საქართველომ თავისი ისტორიით, თანამედროვეობით, განსაკუთრებული მნიშვნელობით ფეხი უნდა აუწყოს მოწინავე ქვეყნებს, შეძლოს განვითარების პროცესში კარგი ურთიერთობების დამყარება მათთან, რათა მშვიდობის მშენებლობა მობილიზებული ძალებით წარიმართოს”.*

გიორგი მოუთმენლად ელის შემდგომ საინფორმაციო კამპანიას, რომ კიდევ ერთხელ სცადოს ბედი და გაიგოს მეტი ევროკავშირის შესახებ.



## ფოტოკონკურსი















დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



# პროექტ ENIGMMA-ს საინფორმაციო ბიულეტენის სპეციალური გამოშვება #9

2016 წლის საინფორმაციო კამპანია

**პროექტ ENIGMMA-ს კვარტალური გამოცემა**

## *ძვირფასო მკითხველო!*

პროექტ ICMPD/ENIGMMA-ს გუნდი სიამოვნებით წარმოგიდგენთ საინფორმაციო ბიულეტენის სპეციალურ გამოშვებას მიგრაციის საკითხებზე. ამ ნომერში მკითხველს მივაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანიაზე, რომელიც 2016 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა.

გამოცემაში ასევე გაეცნობით ბათუმის მერის, გიორგი ერმაკოვისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის, გიორგი თავამაიშვილის განცხადებებს, რომლებიც შეეხება ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას მიგრაციასა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე, როგორც აჭარის რეგიონში, ასევე ზოგადად, მთელ საქართველოში.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები, ასევე, რჩევები ბიულეტენის გასაუმჯობესებლად, გამოგვიგზავნოთ საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

პროექტ ENIGMMA-ს გუნდი მადლობას გიხდით დაინტერესებისათვის.

*პროექტ ICMPD/ENIGMMA-ს გუნდი*

## ამ გამოცემაში წარმოდგენილია:

**ENIGMMA-ს 2016 წლის საინფორმაციო კამპანია:**

- ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანიის მოკლე მიმოხილვა;
- ფოტოკონკურსი ***„გააცანი საქართველო ევროკავშირს“***;
- ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე აჭარის მთავრობისათვის;
- ტრენინგი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის ბათუმში;
- დასკვნითი საჯარო ღონისძიება;
- ინტერვიუები ბათუმის მერთან, ***გიორგი ერმაკოვთან*** და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრთან, ***გიორგი თავამაიშვილთან.***

## ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანიის მოკლე მიმოხილვა:

ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანია 2016 წლის აპრილ-მაისში გაიმართა და ყურადღება ძირითადად საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე გამახვილდა. მისი მიზანი იყო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ლეგალურ მიგრაციაზე, რაც გათვალისწინებულია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით (VLAP). კამპანიის მთავარი მესიჯი კი ასეთი გახლდათ: ***„ლეგალური მიგრაცია საუკეთესო არჩევანია“.*** კამპანიის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა:

- ფოტოკონკურსი „გააცანი საქართველო ევროკავშირს“ მიზნად ისახავდა ინფორმაციის გავრცელებას საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლაზე და, ზოგადად, მათ ურთიერთობებზე. რჩეული ფოტოების ავტორები, რომლებმაც ქართველი ხალხი, მისი უნიკალური კულტურული საგანძური, ტრადიციები, ადათ-წესები, სამზარეულო, ღირსშესანიშნაობანი, ღირებულებები და ა.შ. საუკეთესოდ წარმოადგინეს, სპეციალური პრიზით დაჯილდოვდნენ და მათი ნამუშევრები ბათუმში, დახურვის საზეიმო ცერემონიაზე გამოიფინა.
- ბათუმის მუნიციპალიტეტისა და აჭარის რეგიონის მთავრობის წარმომადგენელთათვის გაიმართა ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე. განიხილეს თემები, როგორიცაა: საქართველოს საიმიგრაციო კანონმდებლობა, საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის თავისებურებები, ბოლო ცვლილებები ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და, ზოგადად, მიგრაციის სფეროში არსებული ვითარება და მიმართულებები ქვეყანაში.
- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებსა და მათ გავლენაზე ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგი გაიარეს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებმაც. ღონისძიების მიზანი იყო იმ ქართველ იურისტთა შესაძლებლობების გაძლიერება, რომლებიც მიგრაციის სფეროში მუშაობენ.
- და ბოლოს, 20 მაისს, ბათუმის პიაცას მოედანზე, ღია ცის ქვეშ, დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის სტუდენტებისა და ახალგაზრდებისათვის. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა მუსიკალური წარმოდგენები, ფოტოგამოფენა, ფოტოკონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია, პრეზენტაციები და თამაშები მიგრაციის, მობილობისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საკითხებზე. მოეწყო სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებაც, ასევე, თოჯინების თეატრის სპექტაკლი ევროკავშირის თემაზე.

ამ ნომერში თითოეულ ღონისძიებას დაწვრილებით განვიხილავთ.

## ფოტოკონკურსი “გააცანი საქართველო ევროკავშირს“

2016 წლის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამოცხადდა ფოტოკონკურსი, რომელშიც საქართველოს ყველა მოქალაქეს, ქართული დიასპორის წარმომადგენლებსა და საზღვარგარეთ მყოფ მიგრანტებს შეეძლოთ წარმოედგინათ თავიანთი ფოტოები თემაზე ***„გააცანი საქართველო ევროკავშირს“.*** ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება საქართველო-ევროკავშირს

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ